

საქართველოს ფინანსთა მინისტრის

ბრძანება №147
2025 წლის 12 ივნისი

ქ. თბილისი

„საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადაადგილებისა და გაფორმების შესახებ ინსტრუქციების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2019 წლის 29 აგვისტოს №257 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ვბრძანებ:

მუხლი 1

„საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადაადგილებისა და გაფორმების შესახებ ინსტრუქციების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2019 წლის 29 აგვისტოს №257 ბრძანებით (ვებგვერდი, 30/08/2019, სარეგისტრაციო კოდი: 230210000.22.033.017230) დამტკიცებული „ახალი კომპიუტერიზებული სატრანზიტო სისტემის (NCTS)“ გამოყენებით საერთო ტრანზიტის პროცედურის განხორციელების საბაჟო ფორმალობების შესახებ“ ინსტრუქციის (დანართი №20):

1. პირველი მუხლის:

ა) პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. „ახალი კომპიუტერიზებული სატრანზიტო სისტემის (NCTS)“ (შემოსავლების სამსახურის სპეციალიზებული ვებგვერდი – www.ncts.rs.ge) (შემდგომში – „სატრანზიტო სისტემა (NCTS)“) გამოყენება შესაძლებელია საქართველოდან „საერთო ტრანზიტის პროცედურის შესახებ“ კონვენციის (CTC) წევრი ქვეყნის (შემდგომში – CTC-ის წევრი ქვეყანა) დანიშნულებით ან მისი გავლით მესამე ქვეყნის დანიშნულებით ან ამ ქვეყნიდან საქართველოს დანიშნულებით ან საქართველოს საბაჟო ტერიტორიის გავლით მესამე ქვეყნის დანიშნულებით საქონლის გადაადგილებისას.

შენიშვნა: ამ პუნქტის მიზნებისათვის CTC-ის წევრი ქვეყნის დანიშნულებით საქონლის გადაადგილებად არ განიხილება საქონლის საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან მესამე ქვეყნის ტერიტორიაზე გადაადგილება ან გატანა.“;

ბ) მე-3 პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის „ი“ ქვეპუნქტი:

„ი) „მესამე ქვეყანა“ ნიშნავს სახელმწიფოს, რომელიც არ არის „საერთო ტრანზიტის პროცედურის შესახებ“ კონვენციის ხელშემკვერელი მხარე.“.

2. მე-2 მუხლის მე-10 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„10. ამ მუხლის მე-9 პუნქტის გათვალისწინებით, ამავე მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრული პირობების შესრულების შემოწმებისას, შემოსავლების სამსახურს წარედგინება სსიპ – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს მიერ გაცემული „ნასამართლობის შესახებ ცნობა“.“.

3. მე-3 მუხლის პირველი პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 1¹ პუნქტი:

„1¹. ამ ინსტრუქციის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული პირობების შესრულების კონტროლის მიზნით, ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული შემოწმების განხორციელებისას, შემოსავლების სამსახურს წარედგინება სსიპ – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს მიერ გაცემული „ნასამართლობის შესახებ ცნობა“.“.



4. მე-6 მუხლის:

ა) მე-4 პუნქტის „გ.ა“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„გ.ა) საქართველოს საგადასახადო კოდექსის 280-ე მუხლით, 282-ე მუხლის მე-3 ნაწილით, საქართველოს საბაჟო კოდექსის 166-ე მუხლის მე-3 ან მე-4 ნაწილით, 170-ე მუხლის მე-2 ნაწილით, 172-ე მუხლით ან 176-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის დაკისრების თაობაზე ძალაში შესული გადაწყვეტილების (რომელიც კანონმდებლობით დადგენილ ვადაში არ გასაჩივრებულა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სისტემაში ან გასაჩივრდა, მაგრამ არ დაკმაყოფილდა) არარსებობა;“;

ბ) მე-8 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„8. ამ მუხლის მე-7 პუნქტის გათვალისწინებით, ამავე მუხლის მე-4 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტით განსაზღვრული პირობის შესრულების შემოწმებისას, შემოსავლების სამსახურს წარედგინება სსიპ – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს მიერ გაცემული „ნასამართლობის შესახებ ცნობა“.“;

გ) მე-10 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„10. გარანტიის ოდენობა შეადგენს იმპორტის გადასახდელის შესაბამის თანხას, რომელიც საგადასახადო შეღავათის გაუთვალისწინებლად გადაიხდებოდა ტრანზიტის დეკლარაციის რეგისტრაციის დღეს ამ საქონლის საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის სასაქონლო სუბპოზიციის შესაბამისი მაქსიმალური განაკვეთ(ებ)ის გათვალისწინებით თავისუფალ მიმოქცევაში გაშვების პროცედურაში მოქცევისას.“.

5. მე-11 მუხლის:

ა) მე-2 პუნქტის „დ.ა“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„დ.ა) საქართველოს საგადასახადო კოდექსის 280-ე მუხლით, 282-ე მუხლის მე-3 ნაწილით, საქართველოს საბაჟო კოდექსის 166-ე მუხლის მე-3 ან მე-4 ნაწილით, 170-ე მუხლის მე-2 ნაწილით, 172-ე მუხლით ან 176-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის დაკისრების თაობაზე ძალაში შესული გადაწყვეტილების (რომელიც კანონმდებლობით დადგენილ ვადაში არ გასაჩივრებულა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სისტემაში ან გასაჩივრდა, მაგრამ არ დაკმაყოფილდა) არარსებობა;“;

ბ) მე-6 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„6. ამ მუხლის მე-5 პუნქტის გათვალისწინებით, ამავე მუხლის მე-2 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული პირობის შესრულების შემოწმებისას, შემოსავლების სამსახურს წარედგინება სსიპ – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს მიერ გაცემული „ნასამართლობის შესახებ ცნობა“.“.

მუხლი 2

„ახალი კომპიუტერიზებული სატრანზიტო სისტემის (NCTS)“ გამოყენებით საერთო ტრანზიტის პროცედურის განხორციელების საბაჟო ფორმალობების შესახებ“ ინსტრუქციის (დანართი №20) პირველი მუხლის 1¹ პუნქტითა და მე-8 მუხლით განსაზღვრული ვალდებულებები საქონლის საზღვაო ტრანსპორტით გადაზიდვაზე 2025 წლის 1 აგვისტომდე გავრცელდეს მხოლოდ საბორნე ტრანსპორტის გამოყენებით ავტოსატრანსპორტო საშუალებით საქონლის გადატანაზე.

მუხლი 3

1. ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

2. საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან საქონლის ექსპორტის/გარე გადამუშავების საბაჟო პროცედურით ან რეექსპორტით გატანის შემთხვევაში, ამ ბრძანების მე-2 მუხლის მოქმედება გავრცელდეს 2025 წლის 10 ივნისიდან წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე.



